



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია: წარმომადგენლობითი საბჭოს

2023 წლის 25 სექტემბრის N28 დადგენილებით

### **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება**

#### **მუხლი 1. ზოგადი დებულებანი.**

1. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (შემდგომში – სამსახური) არის სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, რომელიც სასწავლო უნივერსიტეტში უზრუნველყოფს სწავლის, სწავლების, კვლევისა და სამეცნიერო საქმიანობის, პერსონალის (აკადემიური, მოწვეული) განვითარების ხარისხს.
2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, „განათლების ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

#### **მუხლი 2. სამსახურის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა.**

1. სამსახურის სტრუქტურა ითვალისწინებს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის განყოფილების უფროსისა და მთავარ სპეციალისტის პოზიციებს.

#### **მუხლი 3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები.**

1. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციას, სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის დამკვიდრება. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სფეროა სასწავლო უნივერსიტეტში როგორც უმაღლესი, ისე პროფესიული მიმართულებით ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა, სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლება, სასწავლო პროცესის მუდმივი ხელშეწყობა.
2. ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციისთვის თვითშეფასების პროცესის უზრუნველყოფა;
3. სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;
4. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის მონიტორინგის ანალიზი და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმების (პლაგიატის) დანერგვის ხელშეწყობა.
5. საერთაშორისო თანამშრომლობის და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში სასწავლო უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა;



## სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

6. პასუხისმგებელია საერთაშორისო პარტნიორობისა და ინტერნაციონალიზაციის შედეგების გამოყენებაზე სასწავლო უნივერსიტეტის სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის, პერსონალის განვითარების ხარისხის ხელშეწყობის მიზნით.
- 7) მონაწილეობს Erasmus+-ს (კრედიტების მობილობის) საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების მონაწილე სტუდენტების შერჩევის პროცესში და თანამშრომლობს საერთაშორისო პროექტების კოორდინატორთან სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარე საერთაშორისო პროექტების ეფექტურ განხორციელებაში.
- 8) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და პროცედურების, შეფასებისა და სხვა (მათ შორის მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებული) მეთოდოლოგიების შემუშავება და დანერგვა ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით.
- 9) ზრუნავს საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციაზე და თანამშრომლობს საერთაშორისო პროექტების კოორდინატორთან.
- 10) პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო და უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, მობილობის ფარგლებში კრედიტების აღიარების პროცედურების მექანიზმების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, პროფესორ-მასწავლებელთა რეესტრის სისტემატური მონიტორინგის ორგანიზება შემუშავებული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების საფუძველზე
- 11) საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის საფუძველზე სასწავლო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (ფაკულტეტის), პროფესიული მიმართულებით და აკადემიური საბჭოსთვის რეკომენდაციების შემუშავება უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა თაობაზე;
- 12) აკადემიური, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებლთა და სხვა დაინტერესებულ პირთა თვითშეფასების/შეფასების, კმაყოფილების კვლევის კითხვარების შემუშავება სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობის გზით; აკადემიური/საგანმანათლებლო საქმიანობის ფარგლებში
- 13) აკადემიური, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებლთა და სხვა დაინტერესებულ პირთა თვითშეფასების/შეფასების კმაყოფილების კვლევის ჩატარება.
- 14) აკადემიური, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებლთა და სხვა დაინტერესებულ პირთა თვითშეფასების/შეფასების კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზი.
- 15) კვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების მომზადება აკადემიურ საბჭოზე განსახილველად სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის, საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, ადამიანური, საბიბლიოთეკო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, სტუდენტური მხარდაჭერის ღონისძიებების შემდგომი სრულყოფის მიზნით;
- 16) სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დიპლომის დანართების სიზუსტეზე მუდმივი მონიტორინგი/ უზრუნველყოფა
- 17) კურსდამთავრებულთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების მიმართულებით;
- 18) უზრუნველყოფს კვლევითი აქტივობის შეფასებას.



## სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

19) ამოწმებს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის რეპოზიტორში <http://openlibrary.ge/>, ასევე Publons.com, web of science, Clarivate analytics რეგისტრირებული სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალის ციტირების ინდექსებს პერიოდულად. ამ მიზნით თანამშრომლობს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან და წელიწადში ერთხელ გამოითხოვს სასწავლო უნივერსიტეტში აფილირებული აკადემიური პერსონალის ციტირების ინდექსებს Scopus-ის, Web Sicience-სა და Google Scholar-ის ელექტრონულ სისტემებში.

### მუხლი 4. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

1. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა) მოვალეობის შემსრულებელი განისაზღვრება რექტორის ადმინისტრაციული აქტით.

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

ა) ხარისხის დადგენილი სტანდარტებისა და შიდა მექანიზმების მეშვეობით, ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო პროცესის შეფასებას, მონაცემების ანალიზსა და მიღებული შედეგების შესაბამისად, იძლევა რეკომენდაციებს საჭირო ღონისძიებების გასატარებლად, შემდგომ კი ახორციელებს მათ შესრულებაზე მონიტორინგს;

ბ) მუდმივად ზრუნავს სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის დახვეწა/განვითარებაზე - მისი შესაბამისობის უზრუნველყოფაზე ხარისხის დადგენილ სტანდარტებისა და შიდა მექანიზმების მეშვეობით;

გ) უზრუნველყოფს აკრედიტაციისა და ავტორიზაციის მიზნებისათვის შესაბამისი პროცესების ორგანიზებასა და წარმართვას, ასევე ახორციელებს სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან ეფექტიან კომუნიკაციას თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

დ) ძირითად საგანმანათლებლო ერთეულთან ერთად სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფის მიზნით, მონაწილეობს სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიების შემუშავების, სწავლების პროცესში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და მისი უშუალო განმახორციელებელი აკადემიური, აფილირებული და მოწვეული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების პროცესში;

ე) ზედამხედველობას უწევს სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის პროცესში უშუალოდ ჩართული აკადემიური, აფილირებული და მოწვეული პერსონალის საქმიანობის ხარისხს;

ვ) უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კანონმდებლობის მოთხოვნებთან და დარგობრივ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას;



## სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

- ზ) ზრუნავს ხარისხის გარე და შიდა ეფექტიანი მექანიზმების შექმნასა და სრულყოფაზე;
- თ) ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას, მონიტორინგს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს მათი გაუმჯობესებისათვის;
- ი) ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნისა და/ან არსებულის დახვეწა/ მოდიფიცირების აუცილებლობის შემთხვევაში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს შესაბამის რეკომენდაციას;
- კ) სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის პროცესის ყოველმხრივი და ობიექტურად შეფასების მიზნით, შეიმუშავებს შესაბამის მექანიზმებს, მათ შორის სპეციალური გამოკითხვის ფორმებს, აკადემიური პერსონალის შეფასების კრიტერიუმებს და ამ გზით პერმანენტულად ჩართულია საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სრულყოფის პროცესში;
- ლ) პროგრამის ხელმძღვანელებთან კოორდინირებულად, ეტაპობრივად ახორციელებს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან შეხვედრებს მათი შეხედულებების სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში ასახვის მიზნით;
- მ) ამყარებს კავშირს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად და დასანერგად;
- ნ) სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით, ახორციელებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მონიტორინგს;
- ო) ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის პროცესში ხარისხის უზრუნველსაყოფად სხვა უფლებამოსილებებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და სასწავლო უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

### **მუხლი 5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის განყოფილების უფროსი**

#### **1. შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:**

- ა) მონაწილეობს სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო პროცესის შეფასების, მონაცემების ანალიზისა და, მიღებული შედეგების შესაბამისად, გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესში;
- ბ) მონაწილეობს აკრედიტაციისა და ავტორიზაციის მიზნებისათვის შესაბამის პროცესებში კომპეტენციის ფარგლებში;



## სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

- გ) მონაწილეობს ხარისხის გარე და შიდა ეფექტიანი მექანიზმების შექმნისა და სრულყოფის პროცესში;
- დ) მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების, მონიტორინგისა და რეკომენდაციების შემუშავების პროცესში მათი გაუმჯობესებისათვის;
- ე) მონაწილეობს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნისა და/ან არსებულის დახვეწა/მოდულიზაციის პროცესში;
- ვ) თანამშრომლობს სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან;
- ზ) წარუდგენს ანგარიშს სამსახურის უროს გაწეული საქმიანობის შესახებ;
- თ) მონაწილეობს საერთაშორისო თანამშრომლობის და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში სასწავლო უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობის პროცესში;
- ი). სასწავლო უნივერსიტეტის სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, პერსონალის განვითარების ხარისხის ხელშეწყობის მიზნით მონაწილეობს ინტერნაციონალიზაციის შედეგების გამოყენების პროცესში.
- კ) თანამშრომლობს საერთაშორისო პროგრამების/პროექტების კოორდინატორთან (ინსტიტუციური შესაძლებლობის გაძლიერებისა და კრედიტების მობილობის)
- ლ) მონაწილეობს Erasmus+-ს (კრედიტების მობილობის) საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების მონაწილე სტუდენტების შერჩევის პროცესში;
- მ) ასრულებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის სფეროს, ძირითადი ამოცანებისა და ფუნქციების ფარგლებში სამსახურის უფროსის მითითებებსა და სასწავლო უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

### მუხლი 6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

#### 1. შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა:

- ა) სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში მონაწილეობა;
- ბ) საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის ამაღლებისა და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების პროცესებში მონაწილეობა;
- გ) სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის პროცესების ხელშეწყობა;
- დ) ავტორიზაციის/აკრედიტაციის პროცესისთვის თვითშეფასების მომზადებაში მონაწილეობა;
- ე) სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე, სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური და სისტემური შეფასების პროცესების ორგანიზება და მონაწილეობა;



## სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

- ვ) სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის, სწავლის ხარისხის ამაღლების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების საკითხების შემუშავებაში მონაწილეობა;
- ზ) საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდულ შეფასებაში, მონიტორინგის პროცესში მონაწილეობა;
- თ) სტუდენტთა მობილობის რეგულირების პროცესში მონაწილეობა;
- ი) მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების მიმართულებით პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის პროცესში
- კ) სამსახურის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა;
- ლ) სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში მონაწილეობა;
- მ) მონაწილეობს აკადემიური, მოწვეული პერსონალის, სტუდენტის კურსდამთავრებულთა, დამსაქმებლთა და სხვა დაინტერესებულ პირთა თვითშეფასების/შეფასების კმაყოფილების კვლევის ჩატარების პროცესში.
- ნ) სამსახურის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე სხვა დავალებების შესრულება, რომელიც უკავშირდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას

### **მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორის ფუნქცია-მოვალეობები**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით წარმართავს საქმიანობას სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, რექტორის ადმინისტრაციული აქტებისა და სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესაბამისად და პასუხისმგებელია სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად განხორციელებულ საქმიანობაზე.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/ პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების დანერგვის/ განხორციელების/ მოდიფიცირების პროცესების შეფასება და ანალიზი. შესაბამისი დასკვნისა და რეკომენდაციების (საჭიროების შემთხვევაში) პროექტების შემუშავება.
3. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და პროცედურების, შეფასებისა და სხვა მეთოდოლოგიების შემუშავებაში მონაწილეობა და ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით (დემინგის ციკლის - დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, გაუმჯობესე ფარგლებში) მათი დანერგვის ხელშეწყობა.



## სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

4. პროფესიული განათლების მასწავლებლის, პროფესიული სტუდენტის, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებლთა და სხვა დაინტერესებულ პირთა თვითშეფასების/შეფასების კითხვარების შემუშავებაში მონაწილეობა სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან და რექტორის ადმინისტრაციული აქტით შექმნილ სპეციალურ ჯგუფთან ერთად.
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების პროცედურებისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციის პროცესის უზრუნველყოფა/ მონიტორინგი დარგის სპეციალისტებთან, სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით.
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვის/განხორციელების / მოდიფიცირების მხარდაჭერის პროცესში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, ფოკუს ჯგუფების, ინტერვიუების გზით კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაში მონაწილეობა.
7. თვითშეფასების ანგარიშის შევსებაში ჩართულობა და პროცესთან დაკავშირებით სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა.
8. პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების განმახორციელებელი პირებისთვის საჭირო კონსულტაციების გაწევა და შიდა ტრენინგების უზრუნველყოფა პროფესიული განათლების დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულთან თანამშრომლობით.
9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ეფექტური თანამშრომლობა სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან, პროგრამების განმახორციელებელ პირებთან, დამსაქმებლებთან.
10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი ანგარიშვალდებულია რექტორის, სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის წინაშე.

### **მუხლი 8. რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.**

სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **მუხლი 9. დებულებაში ცვლილებების შეტანის წესი.**

დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

